მუდმივი საცხოვრებლის მოლოდინში მყოფი დევნილი ოჯახები:

2017-2021 წლების სახელმწიფო პოლიტიკა

თბილისი, 2022

Supported by Luminate
Building stronger societies

IDFI
ინფორმაციის თავისუფლების
განვითარების ინსტიტუტი

ანალიზი მომზადებულია პროექტის - „კარგი მმართველობის გაძლიერება საქართველოში 3G“ - ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია გლობალური საქველმოქმედო ორგანიზაცია Luminate-ის მიერ. ანალიზის შინაარსზე პასუხისმგებელია ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი (IDFI). ანალიზსი გამოთქმული მოსაზრებები შესაძლებელია არ გამოხატავდეს საქველმოქმედო ორგანიზაციის პოზიციას.

ძირითადი მიგნებები

- დევნილი ოჯახების დაახლოებით 50% (45 903 ოჯახი) კვლავ არ არის უზრუნველყოფილი გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით.

- ბოლო 5 წლის განმავლობაში მუდმივი საცხოვრებელი ფართით სახელმწიფომ 10,622 ოჯახი დააკმაყოფილა. არსებული ტემპის შენარჩუნების პირობებში, სახელმწიფოს მინიმუმ 20 წელი დაჭირდება ყველა დევნილი ოჯახის მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის.

- 2017-2021 წლებში დევნილთა განსახლების პროექტებზე სულ დახარჯულია დაახლოებით 513 მილიონი ლარი, რომლის 94% პროცენტი წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს.

- დევნილთა მხარდამჭერი საბიუჯეტო პროგრამების ფაქტობრივი ხარჯები 2020 წელს, 2019 წელთან შედარებით, 44 მილიონი ლარით, ხოლო 2021 წელს, 2019 წელთან შედარებით, 67 მილიონი ლარით შემცირდა.

- 2021 წელს ჯანდაცვის სამინისტრომ ვერ უზრუნველყო მენაშენეების საკონკურსო პროექტით დაინტერესება და დევნილთა საცხოვრებელი ფართების სათანადო შესყიდვა. შედეგად, დევნილთა მხარდამჭერი პროგრამისთვის დაგეგმილი 85 მილიონი ლარიდან, აითვისა მხოლოდ 43.6 მილიონი ლარი.

- დევნილთა მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული პროგრამების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან გადასახდელებში, 2018-2019 წლებში შეადგენდა 1%-ს. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 0.7%-მდე, ხოლო 2021 წელს - 0.4%-მდე შემცირდა.

- 2008-2016 წლებში დევნილთა განსახლებისთვის გაწეული ხარჯების 70%-ს (470 მილიონი ლარი) წარმოადგენდა საერთაშორისო დაფინანსება, ხოლო 2017 წლის შემდეგ საინვესტიციო გრანტის სახით სახელმწიფოს მიღებული აქვს მხოლოდ 33 მილიონი ლარი.

- 2017-2021 წლებში სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დევნილთა საცხოვრებელი ფართის (128 524 კვ.მ საცხოვრებელი ფართი) მშენებლობებზე გაწეულია 120.5 მილიონი ლარის ხარჯი.

- 2017-2021 წლებში მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, კვადრატული საცხოვრებელი ფართის მიხედვით, 467 ლარიდან 1,230 ლარამდე მერყეობს.

- 2017-2021 წლებში დევნილთა განსახლების პროგრამებზე გათვალისწინებულ თანხებს მინიმუმ ორჯერ აღემატებოდა სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემიებსა და დანამატებზე გაწეული ხარჯები, ასევე შტატგარეშე მოსამსახურეების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები.

შესავალი

საქართველოში 90-იან წლებში განვითარებული მოვლენებისა და 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შედეგად, ასი ათასობით ადამიანი იძულებული გახდა დაეტოვებინა მუდმივი საცხოვრებელი ადგილი. საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ქვეყანა დადგა მნიშვნელოვანი გამოწვევის წინაშე დევნილთა პრობლემების მოგვარების თვალსაზრისით. მათ შორის, საქართველოს ხელისუფლებისგან განსაკუთრებულ ძალისხმევას დევნილი ოჯახების გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფა მოითხოვდა. შესაბამისად, ამ მიმართულებით არსებულ სახელმწიფო პოლიტიკაზე მუდმივად არსებობს საზოგადოების მაღალი ინტერესი.

2017 წლის 9 თებერვალს IDFI-მ გამოაქვეყნა კვლევა „მუდმივი საცხოვრებლის მოლოდინში მყოფი დევნილი ოჯახები - შეზღუდული სახელმწიფო რესურსი თუ არასაკმარისი პოლიტიკური ნება“, სადაც მიმოხილული იყო 2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, დევნილი ოჯახების საცხოვრებლით უზრუნველყოფის თვალსაზრისით არსებული მდგომარეობა და სახელმწიფოს მიერ ამ კუთხით 2008-2016 წლებში გაწეული ხარჯები. კვლევა აჩვენებდა, რომ 2016 წლის მდგომარეობით, აღრიცხული იყო 86,263 დევნილი ოჯახი (259,247 პირი), საიდანაც გრძელვადიანი საცხოვრებლის პროგრამების ფარგლებში დაკმაყოფილებული იყო 35,475 დევნილი ოჯახი. ამ მიზნით, 2008-2016 წლებში სულ დახარჯული იყო დაახლოებით 670 მილიონი ლარი, საიდანაც უდიდესი ნაწილი - 470 მლნ. ლარი საერთაშორისო დაფინანსება იყო. ამასთან, სამინისტროს მიერ მოწოდებული ინფორმაციით, 2016 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით, სახელმწიფოსგან დახმარებას კვლავ ელოდა 50,788 ოჯახი (განცხადება შევსებული ჰქონდა 37,431 ოჯახს), რომელთა გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად მიახლოებითი გათვლებით საჭირო იყო 1.5 მილიარდი ლარი.

აღნიშნული კვლევის გამოქვეყნებიდან, დაახლოებით 5 წლის შემდეგ, IDFI კვლავ დაინტერესდა როგორ შეიცვალა ამ კუთხით არსებული მდგომარეობა. კერძოდ, 2017-2021 წლებში რა ფინანსური რესურსი მიმართა სახელმწიფომ დევნილთა განსახლებაზე და სახელმწიფოს გათვლებით, კიდევ რა რესურსია საჭირო მათი გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად. ამ მიზნით, IDFI-მ შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნებით მიმართა დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს და სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდს.

დევნილი ოჯახების საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფისთვის საჭირო რესურსი

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, დღეის მდგომარეობით საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილია **46,097 ოჯახი**. საიდანაც, 33,318 ოჯახს საცხოვრებელი ფართი მიღებული აქვს ახლად აშენებულ კორპუსებსა და რეაბილიტირებულ შენობებში, 5,987 ოჯახს კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის შესყიდვის პროექტის ფარგლებში, ხოლო 6,792 ოჯახს მიღებული აქვს განსახლების სანაცვლო ფულადი დახმარება.



დღეის მდგომარეობით, საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი დევნილი ოჯახების რაოდენობის, დაახლოებით 5 წლის წინანდელ მონაცემთან (2021 წლის 1 დეკემბრის მდგომარეობით 35 475 დევნილი ოჯახი) შედარებით ირკვევა, რომ სახელმწიფომ აღნიშნულ პერიოდში დამატებით 10,622 ოჯახი დააკმაყოფილა საცხოვრებელი ფართით. **ამავე დროს, სააგენტოს განმარტებით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი კვლავ არ არის 45,903 ოჯახი. ამასთან, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის ღონისძიებების სხვადასხვა პროექტების ფარგლებში კვლავ შევსებულია 37,054 განაცხადი.**

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტომ ამჯერად თავი შეიკავა საჭირო ფინანსური რესურსის დასახელებისგან, რომელიც მათი გათვლებით, მიახლოებით საჭიროა ყველა იმ დევნილი ოჯახის განსახლებისთვის, რომელთაც სახელმწიფოს მხრიდან დღემდე არ მიუღია შესაბამისი დახმარება. სააგენტომ აღნიშნული მოთხოვნის პასუხად, IDFI-ს განუმარტა, რომ დღეის მდგომარეობით, ერთი დევნილი ოჯახის ახალაშენებულ კორპუსებში მდებარე საცხოვრებელი ფართით უზრუნველსაყოფად საჭიროა 30,000 აშშ დოლარი, ხოლო კერძო საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართის (სახლი/ბინა) შესყიდვის ღონისძიების ფარგლებში - 25,000 ლარი. შესაბამისად, თუ დავუშვებთ, რომ ყველა ის ოჯახი (45 903 ოჯახი), რომლებსაც დღემდე არ მიუღია სათანადო დახმარება, თანაბარი პროპორციით დაკმაყოფილდებიან ახალაშენებულ კორპუსებში და კერძო საკუთრებაში არსებული სახლების შესყიდვით საჭირო იქნება 2.6 მილიარდი ლარი, ხოლო იმ ოჯახების დაკმაყოფილებისთვის,

რომლებსაც დღეის მდგომარეობით შევსებული აქვთ განაცხადი (37,054 განაცხადი) 2.1 მილიარდი ლარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ IDFI-ს მიახლოებითი გამოთვლებით მიღებული ფინანსური რესურსი, რომელიც საჭიროა ყველა დევნილი ოჯახის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველსაყოფად მნიშვნელოვნად აღემატება ჯერ კიდევ 5 წლის წინ სამინისტროს გათვლებს, რომლის მიხედვით, საჭირო იყო დაახლოებით 1.5 მილიარდი ლარი. წლების შემდეგ დევნილი ოჯახების განსახლებისთვის საჭირო ფინანსური რესურსის ზრდის განმაპირობებელ ფაქტორებად შესაძლებელია განხილულ იქნას მთელი რიგი სახელმწიფო პროგრამებთან და მაკროეკონომიკურ გარემოებებთან დაკავშირებული ფაქტორები. მაგალითად, განსახლების პოტენციური ბენეფიციარი დევნილი ოჯახების ზრდა, ეროვნული ვალუტის გაუფასურება, სამშენებლო სექტორში ფასების ზრდა და სხვა. მიუხედავად აღნიშნული გარემოებებისა, ის ფაქტი, რომ დღეის მდგომარეობით, გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფილი კვლავ არ არის 45,903 დევნილი ოჯახი, მნიშვნელოვან კითხვებს აჩენს სახელმწიფოს მიერ ოპტიმალური ფინანსური რესურსის მიმართვასთან დაკავშირებით.

ბოლო 5 წლის მაგალითზე, დევნილი ოჯახების განსახლების არსებული ტემპის შენარჩუნების პირობებში, სახელმწიფოს მინიმუმ 20 წელი დაჭირდება ყველა დევნილი ოჯახის მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფისათვის.

დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფაზე გაწეული ხარჯები

2017-2021 წლების სახელმწიფო ბიუჯეტის დოკუმენტაციის შესწავლით ირკვევა, რომ დევნილთა საჭიროებებისთვის, მათ შორის გრძელვადიანი საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებულია ორი ძირითადი პროგრამა. კერძოდ, ჯანდაცვის სამინისტროს და მისი დაქვემდებარებული უწყებების მიერ ხორციელდება სახელწიფო პროგრამა „განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“, რომელიც დევნილთა გრძელვადიანი განსახლების პროექტებთან ერთად, ასევე ითვალისწინებს სხვადასხვა სოციალური დახმარებების დაფინანსებას. სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ ხორცილდება პროგრამა „იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა“, რომელიც ითვალისწინებს დევნილი მოსახლეობისთვის საცხოვრებელი კორპუსების სამშენებლო სამუშაოების დაფინანსებას. ბიუჯეტის შესრულების ანგარიშების მიხედვით, აღნიშნული პროგრამების დაფინანსება 2020 წლამდე ყოველწლიურად მნიშვნელოვნად იზრდებოდა. მაგალითად, 2017 წელს ამ პროგრამების ფარგლებში ჯამურად ათვისებულია 87 მილიონი ლარი, 2018 წელს - 127 მილიონი ლარი, 2019 წელს - 134 მილიონი ლარი. 2020 წელს, სავარაუდოდ, პანდემიით განპირობებული ეკონომიკური გამოწვევების გათვალისწინებით, ამ პროგრამების დაფინანსებამ შეადგინა მხოლოდ 90 მილიონი ლარი. კერძოდ, მუნიციპალური განვითარების ფონდის პროგრამის დაფინანსება შემცირდა დაახლოებით 49 მილიონი ლარით. 2021 წელს ბიუჯეტის გეგმით ამ პროგრამებისთვის გათვალისწინებული იყო 116 მილიონი ლარი, ხოლო მისმა ფაქტობრივმა შესრულებამ შეადგინა მხოლოდ 66.9 მილიონი ლარი. მაგალითად, ჯანდაცვის

სამინისტროს პროგრამის "განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება" 2021 წლის ბიუჯეტის გეგმით გათვალისწინებული იყო 85 მილიონი ლარი, ხოლო მისმა ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა მხოლოდ 43.6 მილიონი ლარი. **ანგარიშში წარმოდგენილი განმარტების მიხედვით, პროგრამის დაბალი შესრულება განაპირობა იმ ფაქტმა, რომ დევნილთა გრძელვადიანი საცხოვრებელი ფართების შესყიდვა მენაშენეებისგან ვერ განხორციელდა.** კერძოდ, არაერთხელ გამოცხადებული კონკურსის მიუხედავად, პროექტის მიმართ დაინტერესება ვერ მოხერხდა. შედეგად, ეს რესურსი მიიმართა სამინისტროს სხვა პრიორიტეტულ მიმართულებებზე.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 2008-2016 წლებში დევნილთა განსახლებისთვის გაწეული ხარჯების 70%-ს (470 მილიონი ლარი) წარმოადგენდა საერთაშორისო დაფინანსებას. 2017 წლის შემდეგ საინვესტიციო გრანტის სახით სახელმწიფოს მიღებული აქვს მხოლოდ 33.2 მილიონი ლარი, რითაც ჯანდაცვის სამინისტროს, რეკონსტრუქციის საკრედიტო ბანკსა (KFW) და დანიის ლტოლვილთა საბჭოს შორის გაფორმებული ფინანსური დახმარების (გრანტის) ხელშეკრულებით („ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის") განხორციელებული პროექტების ფარგლებში, ანაზღაურდა გაწეული ხარჯის შესაბამისი დამატებული ღირებულების გადასახადი.

დევნილთა მხარდაჭერისთვის გათვალისწინებული პროგრამების წილი სახელმწიფო ბიუჯეტის მთლიან გადასახდელებში, 2018-2019 წლებში შეადგენდა 1%-ს. 2020 წელს ეს მაჩვენებელი 0.7%-მდე, ხოლო 2021 წელს - 0.4%-მდე შემცირდა.

სახელმწიფო ბიუჯეტში დევნილთა საცხოვრებლით უზრუნველყოფისთვის გათვალისწინებული პროგრამები

(ათასი ლარი)

სახელმწიფო პროგრამა	პროგრამის განმახორციელებელი	2017	2018	2019	2020	2021 (გეგმა)	2021 ფაქტი
განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება 27 06 03	ჯანდაცვის სამინისტრო	87 269.8	121 208.6	63 841.9	68 822.7	85 000.0	43,584 .5
იძულებით გადაადგილებული პირების მხარდაჭერა 25 06	მუნიციპალური განვითარების ფონდი	82.4	5,922.0	70 321.3	21 000.0	31 300.0	23,270 .0

ეკონომიკური მონაწილეობა, საცხოვრებლით უზრუნველყოფა და სოციალური ინფრასტრუქტურა იძულებით გადაადგილებულ პირთა და მასპინძელი თემებისათვის (KfW) 27 06 06		0	0	6267,6	16,050.2	0	10,911.3





სახელმწიფო ბიუჯეტში გათვალისწინებული დევნილთა მხარდაჭერის პროგრამებიდან, უშუალოდ დევნილთა განსახლებაზე გაწეული ხარჯების იდენტიფიცირების მიზნით, IDFI-მ პროგრამის განმახორციელებელ უწყებებს (სსიპ დევნილთა ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტო და სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი) მიმართა შესაბამისი საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით. დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, **2017-2021 წლებში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით, განხორციელდა 395.5 მილიონი ლარის ღირებულების პროექტები.** მათ შორის, 179.8 მილიონი ლარი გათვალისიწინებული იყო მენაშენეებისგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვაზე, 109.4 მილიონი საცხოვრებელი სახლების მშენებლობაზე, 100.8 მილიონი სოფლად სახლების შესყიდვაზე, ხოლო 5.5 მილიონი ლარი დევნილებისთვის იპოთეკური სესხების დაფარვისთვის. საცხოვრებელი ფართების შესყიდვა და მშენებლობაზე 2017-2021 წლებში ფაქტობრივად გადარიცხულია 354 მილიონი ლარი.

სააგენტოს მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, 2020-2021 წლების საცხოვრებელების სახლების მშენებლობის პროექტების განმახორციელებლად (საერთო ღირებულებით 63 მილიონი ლარი) მითითებულია სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი. შესაბამისად, 2020-2021 წლებში სააგენტოს მიერ სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებიდან გარკვეულწილად დაკომპენსირდა მუნიციპალური განვითარების ფონდის სამშენებლო სამუშაოებისთვის შემცირებული დაფინანსება. თავის მხრივ, სააგენტოს პროგრამის „განსახლების ადგილებში დევნილთა შენახვა და მათი საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ თანხების გამოთავისუფლება განაპირობა სააგენტოს გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვით, 2020 წლიდან „იპოთეკური სესხების დაფარვის“ და „თბილისში თანადაფინანსებით ბინის შესყიდვის პროექტები აღარ განხორციელდება“. აღნიშნულ გადაწყვეტილების მოტივად დასახელდა ის ფაქტი, რომ სააგენტო პრიორიტეტად მიიჩნევდა მძიმე სოციალურ მდგომარეობაში მყოფი დევნილი ოჯახების განსახლებას, ხოლო ზემოთ ხსენებული პროექტები ვერ პასუხობდა აღნიშნულ მოთხოვნებს. კერძოდ, თანადაფინანსების პროექტი დევნილების მხრიდან სოლიდური თანხის დამატებას ითვალისწინებდა, ხოლო იპოთეკური სესხის შემთხვევაში სახელმწიფო გარკვეულ ნაწილს ფარავდა, შესაბამისად დევნილ ოჯახს კვლავ რჩებოდა საბანკო ვალდებულება, რაც სახელმწიფო რესურსის დაკარგვის რისკს შეიცავდა.

IDFI-თვის გამოგზავნილი ინფორმაციის მიხედვით, სააგენტო არ ფლობდა იმ სტატისტიკურ მონაცემებს რაც წარმოადგენდა აღნიშნული პროექტების გაუქმების ძირითად მოტივს. მაგალითად, სააგენტოსთვის უცნობი იყო დევნილი ოჯახების მიერ იპოთეკური სესხის დაფარვის პროგრამით სარგებლობის შემდეგ, რამდენმა ოჯახმა ვერ უზრუნველყო დარჩენილი სასესხო ვალდებულების სრულად დაფარვა.

დევნილთა გრძელვადიანი განსახლების მიზნით განხორციელებული პროექტები								
წელი	(სოფლად სახლები)		მენაშენეებისგან საცხოვრებელი ფართების შესყიდვა		საცხოვრებელი სახლების მშენებლობა		იპოთეკური სესხის დაფარვა	
	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა	რაოდენობა	თანხა
2017	612	12 576 802	627	39 635 845	1 024	46 392 103	169	3 199 202
2018	709	14 977 015	605	45 956 421			118	2 281 464
2019	1050	22 044 641	738	56 665 313				
2020	876	18 057 161	349	20 517 319	620	35 740 654*		
2021	1406	33 118 825	190	17 061 268	420	27 301 728*		
სულ	***4 653***	***100 774 444***	***2 509***	***179 836 166***	***2 064***	***109 434 486***	***287***	***5 480 666***

*შენიშვნა: პროექტის განმახორციელებელს წარმოადგენს სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდი



სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ინფორმაციის მიხედვით, 2017-2021 წლებში მათ მიერ გაწეული ხარჯების დაფინანსების წყაროს წარმოადგენდა მხოლოდ სახელმწიფო ბიუჯეტი. შესაბამისად, მოწოდებული მონაცემები შესაბამისობაშია ბიუჯეტის შესრულების

ანგარიშში ასახულ მაჩვენებლებთან. 2017-2021 წლებში სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დევნილთა საცხოვრებელი ფართის მშენებლობებზე სულ გაწეულია 120.5 მილიონი ლარის ხარჯი. მათ შორის, ქალაქ ზუგდიდში მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის და სახლების (საერთო ფართობი 52,824 კვ.მ) მშენებლობაზე დახარჯულია 54.7 მილიონი ლარი, ქალაქ წყალტუბოში - 32 მილიონი ლარი (საერთო ფართობი 29,630კვ.მ), ქალაქ ქუთაისში - 30.8 მილიონი ლარი (საერთო ფართობი 39,440 კვ.მ), ხოლო ქალაქ მცხეთაში - 3.1 მილიონი ლარი (საერთო ფართობი 6,630 კვ.მ). მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მოწოდებული მონაცემების შესაბამისი გამოთვლებით, სხვადასხვა რეგიონში ჩატარებული სამშენებლო სამუშაოების ღირებულება, კვადრატული საცხოვრებელი ფართის მიხედვით, 467 ლარიდან 1,230 ლარამდე მერყეობს. მაგალითად, ქალაქ მცხეთაში 2018-2019 წლებში აშენებული ორი რვასართულიანი კორპუსის 1 კვ. მეტრი საცხოვრებელი ფართის ღირებულება შეადგენდა 467 ლარს, ხოლო 2019-2021 წლებში წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში, აშენებული მრავალბინიანი სახლის 1კვ.მ საცხოვრებელი ფართის ღირებულება 1,229 ლარს.

სსიპ მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ დევნილთა საცხოვრებლების მშენებლობაზე გაწეული ხარჯები

	2018	2019	2020	2021	სულ	საცხოვრებელი ფართობი	1 კვ.მ ღირებულება
ქ. მცხეთაში ორი რვასართულიანი საცხოვრებელი კორპუსის (ბინათა რაოდენობა - 120) სამშენებლო სამუშაოები	1 438 224	1 659 865			**3 098 089**	**6630**	**467**
ქ. ზუგდიდში, ბარამიას #7-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე დევნილთა გრძელვადიანი განსახლებისთვის საცხოვრებელი კომპლექსის სამშენებლო სამუშაოების III ეტაპის 3 შეწყვილებული კორპუსის მშენებლობა და ეზოს კეთილმოწყობა	2 858 647	13 368 723	1 639 348		**17 866 718**	**19809**	**902**
ქ. ზუგდიდში ბარამიას ქუჩა №7–ში მიმდებარე ტერიტორიაზე, 2 შეწყვილებული მრავალბინიანი სახლის სამშენებლო სამუშაოები		9 459 388	1 828 802	2 985 632	**14 273 822**	**13206**	**1081**
ქ. ზუგდიდში ბარამიას ქუჩა №7–ში მიმდებარე ტერიტორიაზე, 3 შეწყვილებული მრავალბინიანი სახლის სამშენებლო სამუშაოები		14 511 718	3 903 283	4 132 233	**22 547 234**	**19809**	**1138**
წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გვიშტიბში 2 (ორი) ერთეული მრავალბინიანი სახლის დასრულების სამშენებლო სამუშაოები	470 512	3 564 299	624 150		**4 658 961**	**7412**	**629**

წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, სოფელ გვიშტიბში მრავალბინიანი 6 სახლის სამშენებლო სამუშაოები		16 854 432	5 638 740	4 808 556	**27 301 728**	**22218**	**1229**
ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ.#53-ში დევნილთა გრძელვადიანი განსახლების ობიექტის, ორი 16-სართულიანი სახლის მშენებლობა	1 154 654	6 519 537	2 212 869	4 978 799	**14 865 859**	**15776**	**942**
ქ. ქუთაისში, შერვაშიძის ქ.#53-ში მდებარე მშენებარე სამი 16 სართულიანი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის დასრულების სამშენებლო სამუშაოები		4 383 304	5 152 808	6 364 780	**15 900 892**	**23664**	**672**

დასკვნა

დევნილთა, ეკომიგრანტთა და საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოდან მიღებული ინფორმაციის და სახელმწიფო ბიუჯეტში ასახული მონაცემების ერთობლივი ანალიზით, ირკვევა რომ 2017-2021 წლებში დევნილთა განსახლების პროექტებზე სულ დახარჯულია დაახლოებით 513 მილიონი ლარი, რომლის დაახლოებით 94% პროცენტი წარმოადგენს საბიუჯეტო სახსრებს. მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტიდან მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსი მიემართა დევნილთა განსახლების პროგრამებზე, IDFI მიიჩნევს, რომ საქართველოს ხელისუფლების შესაბამისი პოლიტიკური ნების არსებობის პირობებში, შესაძლებელი იყო სახელმწიფო ბიუჯეტიდან ცალკეული ბიუროკრატიული ხარჯების შემცირების ხარჯზე, მნიშნელოვანი ფინანსური რესურსის გამოთავისუფლება და დევნილი ოჯახებისთვის შესაბამისი დახმარების გაწევის პროცესის დაჩქარება.

მაგალითად, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშებში ასახული მონაცემების მიხედვით, დევნილთა განსახლების პროგრამებზე გათვალისწინებულ თანხებს დაახლოებით ორჯერ აღემატება სახელმწიფო ბიუჯეტიდან პრემიებსა და დანამატებზე გაწეული ხარჯები, ასევე შტატგარეშე მოსამსახურეების ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯები.



შენიშვნა: სახელმწიფო ბიუჯეტიდან გაცემული პრემია/დანამატები შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს ბიუჯეტის მონიტორი.

იმის გათვალისწინებით, რომ დღეის მდგომარეობით, დევნილი ოჯახების ნახევარი კვლავ რჩება მუდმივი საცხოვრებლის მოლოდინში, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ არცერთი ხელისუფლების პირობებში დევნილების მუდმივი საცხოვრებლით უზრუნველყოფა არ ყოფილა განსაზღვრული სოციალური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად.

ვინაიდან, ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილმა ოჯახებმა საცხოვრებელი დაკარგეს შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად, საქართველოს ყველა ხელისუფლება ვალდებული იყო სოციალური პოლიტიკის უმთავრეს პრიორიტეტად განესაზღვრათ დევნილების მუდმივი საცხოვრებლით დროული უზრუნველყოფა და არსებული საერთაშორისო დახმარებასთან ერთად, სახელმწიფო სახსრების გამოთავისუფლებით მნიშვნელოვნად დაეჩქარებინათ დევნილი ოჯახებისათვის შესაბამისი დახმარების გაწევის პროცესი.

დღეის მდგომარეობით, არსებული გარემოებების გათვალისწინებით, IDFI მიიჩნევს, რომ დევნილი მოსახლეობის საცხოვრებლით უზრუნველყოფის დაჩქარებისთვის აუცილებელია:

- სახელმწიფო ბიუჯეტის ზრდის პროპორციულად, გაიზარდოს დევნილი ოჯახების განსახლებისთვის არსებული დაფინანსება. კერძოდ, ყველა დევნილი ოჯახის განსახლების უზრუნველყოფამდე, საქართველოს კანონმდებლობით განისაზღვროს სახელმწიფო

ბიუჯეტიდან ამ მიზნით ყოველწლიურად გამოსაყოფი დაფინანსების პროცენტული ქვედა ზღვარი (ბიუჯეტის საერთო გადასახდელების მინიმუმ 1%).

- გაიზარდოს სახელმწიფო პროგრამების დაგეგმვის და განხორციელების ეფექტიანობა, რაც გამორიცხავს ამ მიზნით გამოყოფილი ფინანსური რესურსების ათვისების პრობლემას.
- საქართველოს ხელისუფლებამ გააქტიუროს დევნილთა განსახლების დაფინანსებისთვის დონორი ორგანიზაციების მოძიება.

ტ. შევჩენკოს ქ. 20, 0108
თბილისი, საქართველო

+ 995 32 292 15 14

INFO@IDFI.GE

WWW.IDFI.GE